



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების  
შესრულების შემოწმების შესახებ<sup>1</sup>



**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ეკატერინე ბაკრაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

ზაზა ცოტნიაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2022

<sup>1</sup> შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	უნივერსიტეტი
სახე	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1 ქ. თელავი, 2200, საქართველო
ვებ-გვერდი	tesau.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2018.24.09 № 72
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2024.24.09

### რაოდენობრივი მაჩვენებლები

#### პროგრამები<sup>2</sup>

<b>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა</b>	
ბაკალავრიატი	12
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	2
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	23
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა <sup>3</sup>	1
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

### სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	1718	556	1162
ბაკალავრიატი	1454	384	783
მაგისტრატურა	93	68	180
ერთსაფეხურიანი	99	3	0
დოქტორანტურა	11	91	35
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	50	8	128
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	11	2	36
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	0	0	0

<sup>2</sup> იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

<sup>3</sup> იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3<sup>48</sup> პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	0
---	---	---	---

### პერსონალი

<b>მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ</b>	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	257
<b>სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	76
- პროფესორი	19
- ასოცირებული პროფესორი	39
- ასისტენტ პროფესორი	15
- ასისტენტი	3
<b>სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა</b>	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
<b>სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	75
- აფილირებული პროფესორი	18
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	39
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	15
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	4
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	4
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	75
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	106

### შენიშვნა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	18438,95 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4011,97 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	14167,94 კვ.მ 258,14 კვ.მ

**მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი**

**აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2021 წლის 18 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა წამოებაზე - **იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მონიტორინგის განხორციელების მიზნით**. აღნიშნული რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიმართ გაიცა 2018 წლის გეგმიური ავტორიზაციის პროცესში და შესასრულებლად განესაზღვრა კანონით დადგენილი ვადები. რეკომენდაციები შეეხებოდა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტანდარტებს. საერთო ჯამში გაცემული იყო 37 რეკომენდაცია.

პანდემიის პირობების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა შერეული ფორმატით. კერძოდ, პირველ დეკემბერს მოხდა ადგილზე ვიზიტი მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ერთი წევრი მივლენილი იქნა ადგილზე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელთან ერთად, ხოლო ჯგუფის სხვა წევრები დისტანციურ რეჟიმში აკვირდებოდნენ აღნიშნულს. ვიზიტის მეორე და მესამე დღე - 2-3 დეკემბერს ჩატარდა ინტერვიუები სრულად ონლაინ. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის მენეჯმენტს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც ვადების დაცვით წარმოადგინა ინსტიტუციამ. საერთო ჯამში ვიზიტმა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში ჩაიირა.

2022 წლის 25 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილ დასკვნაზე მიიღო დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების პოზიცია კონკრეტულ რეკომენდაციებთან მიმართებაში. ინსტიტუციას არ წარმოუდგენია მათი პოზიცია რჩევებთან მიმართებაში, საინტერესო იქნებოდა მათი ხედვა ამ კუთხით. ექსპერტთა ჯგუფის საპასუხო პოზიცია დეტალურად წარმოდგენილია შემდეგ ნაწილში.

---

**მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**

ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება  
 შეფასების განხორციელების თარიღი: 24.09.2018

სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება  
 შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება  
 შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_

შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში  
 შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_

---

<p>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</p>	<p>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</p>
<p>2.1.1. ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის დეტალური გეგმის შემუშავება და მისი სამწლიანი სამოქმედო გეგმა</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> უნივერსიტეტმა დაგეგმა უნივერსიტეტის პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების</p>

	<p>ოპტიმიზაციის ეტაპები, რომელიც დაიწყო 2018 წლიდან და მიმდინარეობს მოცემული ეტაპისთვის. შემდეგი ეტაპისთვის დაგეგმილია შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას.</p>
<p>2.1.2. წარმატებული ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ეფექტურობის გაზრდა</p>	<p><b>შესრულებულია</b>  ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი განახლდა და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დეტალურად და კონკრეტულად გაიწერა 2020-2025 წლებისთვის დაგეგმილი აქტივობები.  მოცემულ ეტაპზე თესაუ-ში 9 მიმდინარე ინსტიტუციური განვითარების, 2 შავი ზღვის აუზის, 1 USAID და 18 KA107 მობილობის პროექტი ხორციელდება;  მაღალია ასევე ცალკეული პროგრამების სტუდენტებისა და პროფესორების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ 2018-2021 წლებში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 47 სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით;</li> <li>• 73 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი პროექტებში ჩაერთო;</li> <li>• საერთაშორისო პროექტების ფარგლებში 31 აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა უცხოურ უნივერსიტეტებში;</li> <li>• 42 საერთაშორისო პროფესორი ჩაერთო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში და აგრძელებენ თესაუსთან თანამშრომლობას, როგორც მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელები;</li> </ul>
<p>2.1.3. AEMS-ის სისტემაში აუცილებელი ფუნქციების დამატების მიზნით დეტალური გეგმისა და ვადების შემუშავება</p>	<p><b>შესრულებულია</b>  განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემა (aems.tesau.edu.ge) მოიცავს: ფაკულტეტის (ადმინისტრაციის), ლექტორისა და სტუდენტის პორტალს, რომელსაც, ელექტრონული სერვისების განვითარების გეგმის შესაბამისად, დამატა შესაბამისი ფუნქციები. დამატებით, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული განვითარების მექანიზმების დოკუმენტში გაწერილია განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის განვითარების აქტივობები შესაბამისი ვადის მითითებით.</p>
<p>2.2.1. თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების დანერგვა კვლევის სისტემების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად</p>	<p><b>შესრულებულია</b>  დაწესებულებამ დანერგა ონლაინ გამოკითხვის ფორმა, რისთვისაც იყენებს “Google forms” პლატფორმას. დამატებით, AEMS-ის პორტალზე უკვე მოხდა გამოკითხვის რამდენიმე ფორმის ინტეგრირება, რაც ამარტივებს გამოკითხვის ფორმაზე წვდომისა და ჩართულობის პროცესს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვას გამოკითხვის პროცესში.</p>

<p>2.2.2. პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მკაფიო მექანიზმების შემუშავება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტმა შეიმუშავა პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის, პრევენციის, აღმოჩენის მექანიზმებსა და რეაგირების პროცედურებს. დოკუმენტში წარმოდგენილია დაწესებულების მიზანი, თუ რა მექანიზმებით უწყობს ხელს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში აკადემიური ეთიკის დაცვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად. პლაგიატის გამოვლენის მიზნით დაწესებულებაში დანერგილია პროგრამა TURNITIN</p>
<p>2.2.3. სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით</p>	<p><b>შესრულებულია</b>          აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>· თესაუში ჩარიცხულ სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი, ეთიკის კოდექსი მიეწოდებათ ხელშეკრულებასთან ერთად, ისინი ეცნობიან ეთიკის ნორმებს და ადასტურებენ ხელმოწერით.</li> <li>· ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესახებ ეთიკის კომიტეტის მიერ;</li> <li>· ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;</li> <li>· შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია აკადემიური წერის სილაბუსებში როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ასევე სადოქტორო საფეხურებზე;</li> <li>· ტარდება ტრენინგები, საჯარო ლექციები, ხდება ვიდეოკლიპების ჩვენება, სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობა და სხვა;</li> </ul> <p>აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისა და ინფორმირების მიზნით ბიბლიოთეკა აღიჭურვა 15 სხვადასხვა სახეობის უახლესი გამომცემლობის წიგნადი ფონდით.</p>
<p>3.1.1. დამსაქმებელთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და მათი წინადადებების ეფექტურად განხილვა და პრაქტიკაში დანერგვა</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან ძირითადად ორი გზით: პროგრამის შემუშავების ან მოდიფიკაციის ეტაპზე ითვალისწინებს დამსაქმებლის წინადადებას, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროგრამის განხორციელების</p>

	<p>ეტაპზე მოიწვევს პრაქტიკული გამოცდილების სპეციალისტებს. სასწავლო პროგრამებში პრაქტიკოსი პირების ინტეგრირების გზით, პროგრამებში პერიოდულად ხორციელდა ცვლილებები, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.</p>
<p>3.1.2 საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის ხშირი კვლევა და მათი მორგება ცვლად საჭიროებებთან.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ასევე, პროგრამის მოსამზადებელ ეტაპზე ატარებს ბაზრის კვლევას. ბაზრის კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვება ხდება ძირითადად, რეგიონში არსებული დამსაქმებლებისგან, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი კონტაქტებით. ამ მიზნით დგება კითხვარი, რომელიც ელექტორულად ეგზავნება დაინტერესებულ პირებს. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხდება მისი ანალიზი და პროგრამის სამუშაო ჯგუფი, შესაბამის რეკომენდაციას ასახავს პროგრამის შემუშავების პროცესში.</p>
<p>3.1.3 კურსების ისე შედგენა, რომ სტუდენტებს კრედიტები მიენიჭოთ შესწავლილი მასალის მიხედვით, რაც დაკავშირებულია საკონტაქტო საათებთან.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში შეიტანა ცვლილება საკონტაქტო საათების გაზრდის კუთხით, ასევე პრაქტიკული (ლაბორატორიული სამუშაო) მეცადინეობების გაზრდის თვალსაზრისით. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების პროცესში რეკომენდაციები კვლავ უკავშირდება აღწერილ საკითხს, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა სრულად - ყველა სასწავლო პროგრამაში შეასრულოს აღნიშნული რეკომენდაცია.</p>
<p>3.2.1 ვებ-გვერდის სიზუსტით უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, სადაც დეტალურად არის აღწერილი ყველა ის პროგრამა, რომელიც ამ ეტაპზე ხორციელდება უნივერსიტეტში.</p>
<p>3.2.2 საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა, რათა ეფექტურად მომზადდეს კურსდამთავრებული დასაქმებისთვის.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა ცვლილება შეიტანა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაზრდის, ან სასწავლო კურსებში პრაქტიკის ნაწილი გაზრდისთვის. მაგ. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მეტი დრო გაატარონ პრაქტიკის ობიექტზე; ბიოლოგიის სასწავლო პროგრამაში, ლაბორატორიული სამუშაოების მიმართულებით გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობა.</p>

<p>3.2.3 სხვადასხვა საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.</p>	<p><b>შესრულებულია</b> ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს დაადგინა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობენ ის სტუდენტები, ვინც გარე მობილობის შედეგად ჩაირიცხა, ასევე, არის პრაქტიკა პატიმარი სტუდენტი არსებობისა და შესაბამისად, მათთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.</p>
<p>3.2.4 თითოეულ პროგრამაზე უცხო ენის ცოდნა უნდა განისაზღვროს დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამაზე.</p>	<p><b>შესრულებულია</b> სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის გამოცდა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა სტუდენტებს და ასევე, აკადემიურ პერსონალს - პროგრამის ხელმძღვანელებს, სადაც აღნიშნული გარემოების გადამოწმება მოხდა. უნივერსიტეტი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში მისაღებ გამოცდათ განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, ამ მიზნით თავად უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას იმ აპლიკანტებისთვის, ვისაც მიმდინარე ეტაპზე არ აქვს საერთაშორისოდ აღიარებული, ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი.</p>
<p>4.1.1. ლექციების ფარგლებში, რეგიონალური კერძო და საჯარო სექტორიდან პროფესიონალების მოწვევა, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით</p>	<p><b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების ფარგლებში, ცალკეული პროგრამების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება შესაბამის დარგში პროფესიონალი კადრების მოწვევა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან. პრაქტიკული აქტივობების დანერგვა და სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური პოზიციების დაკავება დოქტორის ხარისხის მქონე პრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი სწავლის პროცესშივე ინტეგრირდეს თეორიულ სწავლებასთან.</p>
<p>4.1.2. ბიუჯეტის ზრდის განხილვა, პერსონალისთვის სრულყოფილი ტრენინგების ჩატარების მიზნით</p>	<p><b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადების მიზნით მოხდა ბიუჯეტის გაზრდა 50 %-ით. დამატებით, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში (PRINTEL და INTEGRITY) ხდება პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდებში. დაგეგმილია ასევე სხვა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში პერსონალის გადამზადება.</p>
<p>5.1 AEMS-ის ყველა ფუნქციის ამოქმედება</p>	<p><b>შესრულებულია</b> ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებით გაეცნო აღნიშნული სისტემის მუშაობის პრინციპს, როგორც ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტის მხრიდან არსებულ შესაძლებლობებს. აღსანიშნავია,</p>



	რომ რამდენიმე ფუნქციის გააქტიურება ამჟამად მიმდინარეობს, ფუნქციები მოქმედებს, თუმცა სასურველია ამ მიმართულებით ნაბიჯები უფრო აქტიურად გადაიდგეს.
5.2.1 დამოუკიდებელი სტუდენტური სერვის ცენტრის შექმნა სტუდენტთა აქტივობების, დაკვალიანებისა და კარიერული განვითარების მხარდასაჭერად.	<b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ქვეშ შეიქმნა სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ფუნქციად განისაზღვრა სტუდენტების კონსულტირება დასაქმებასთან მიმართებაში. ვიზიტის დროს ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა აღნიშნული ერთეულის მუშაობის პოზიტიური შედეგები.
5.2.2 ხელი შეეწყოს სტუდენტთა მეტ ჩართულობას საერთაშორისო აქტივობებში, მაგ. გაცვლით პროგრამებში.	<b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების სამსახურის მიერ დაგეგმილი და შესრულებული აქტივობები, სრულად ითვალისწინებს მოცემულ რეკომენდაციას, ამაზე მიუთითებს მოცემულ საანგარიშო პერიოდში იმ სტუდენტების რაოდენობა, ვინც ისარგებლა გაცვლითი პროგრამებით.
6.1.1 კვლევის ნაყოფიერებისა და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების ზრდა	<b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის და მკვლევარების ინფორმირებას არსებული შესაძლებლობების კუთხით, ასევე მათ დაკავშირებას რეგიონში არსებულ ორგანიზაციებთან, სადაც შეიძლება პრაქტიკული კვლევების განხორციელება.
6.1.2 საუნივერსიტეტო პუბლიკაციებისა და მსგავსი ნაშრომების გავრცელების სტანდარტის განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ნაშრომების გავრცელება, რომელიც არ შეეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.	<b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტში არსებობს სამაგისტრო და სადოქტორო დებულება, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური სტილის საკითხებს. აღნიშნული რეგულირდება ამ დოკუმენტებით და მისი კომუნიკაცია განისაზღვრება უშუალოდ ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ხარისხის მართვის სამსახურის ვალდებულებად.
6.1.3 შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მუშაობის მაღალ სტანდარტებს.	<b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტმა შეიმუშავა შეფასების კრიტერიუმები და მოხდა მათი მეტ-ნაკლებად უნიფიცირება, აღნიშნული ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მუშაობის მაღალ სტანდარტს.
6.2.1 საუნივერსიტეტო კვლევის მხარდამჭერი საქმიანობის დაკავშირება კვლევის განვითარების მკაფიოდ განსაზღვრულ გამოწვევებთან	<b>შესრულებულია</b> უნივერსიტეტში არსებობს მხარდამჭერი სერვისები მკვლევარებისთვის და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის, რომლებიც პასუხობენ ძირითად გამოწვევებს, რის წინაშეც შეიძლება დადგეს ახალგაზრდა/დამწყები მკვლევარი. აღნიშნული სერვისები მოიცავს კონსულტაციებს, როგორც ნაშრომის ხელმძღვანელთან, ასევე, ბიბლიოთეკის მხრიდან ტრენინგებს.

<p>6.2.3 სტრატეგიის განვითარება, რაც უნივერსიტეტს დაეხმარება კონკურენცია გაუწიოს სხვა უნივერსიტეტებს ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვაში</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი, მისი კვლევითი პრიორიტეტებიდან და რეგიონის სპეციფიკაციიდან გამომდინარე ზრუნავს ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის მიმართულებით, მათთვის მაღალი ხარისხის ლაბორატორიული სივრცეების შეთავაზების გზით.</p>
<p>6.2.3 უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის დაკავშირება უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და განვითარების საჭიროებასთან</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე დაკავშირებულია იმ ძირითად პრიორიტეტებთან, რომელსაც უნივერსიტეტი მოიაზრებს როგორც მის ნიშას. ესენია: მეცანახეობა, აგრარული მეცნიერებები და მომიჯნავე დარგები.</p>
<p>6.3.1 კვლევის შედეგების გაუმჯობესების მიზნით თითოეული განყოფილების კვლევის შედეგების შიდა შეფასების სისტემის ჩამოყალიბება</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტში არსებობს კვლევის შეფასების შიდა მექანიზმები, რომელის მიხედვითაც გარკვეული პერიოდულობით ფასდება კვლევითი საქმიანობის შესრულება.</p>
<p>6.3.2 უნივერსიტეტის პუბლიკაციების ხარისხისა და ეთიკური კვლევის მკაფიო ინდიკატორების ჩამოყალიბება</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი პუბლიკაციების ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენებს პროგრამას Turnitin, რომელიც ადგენს ტექსტის ორიგინალობას. უნივერსიტეტი განსაზღვრავს აკადემიურ სტილს, თუმცა როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა სტუდენტებისთვის არ არსებობს დამატებითი სერვისები ამ მიმართულებით. კვლევის ეთიკის საკითხები არ შედის ეთიკის კომისიის პასუხისმგებლობაში და ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს მუშაობა.</p>
<p>6.3.3 საუნივერსიტეტო კვლევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მოიცავს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ვიდეოებს, თუმცა სასურველია აღნიშნული მიდგომა პროაქტიულად განხორციელდეს.</p>
<p>7.1.1. შენობების რეაბილიტაცია აუცილებელია სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ-მ მოახდინა ძირითადი შენობების სრული რეაბილიტაცია, ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.</p>
<p>7.1.2. დარწმუნდით, რომ ყველა შენობას აქვს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო სისტემები.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          ყველა ფუნქციონალურ შენობას აქვს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო სისტემები.</p>
<p>7.1.3. დარწმუნდით, რომ ყველა ნაგებობა ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          ყველა სასწავლო დანიშნულების შენობა ხელმისაწვდომია შშმ პირთათვის.</p>
<p>7.2.1. დარწმუნდით, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია ინგლისურ ენაში, რათა ეფექტურად დაეხმარონ სტუდენტებს ელექტრონული ბაზის გამოყენებაში.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ-მ სპეციალურად დაიქრავა ინგლისური ენის მცოდნე თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების მიერ ელექტრონული ბაზის ეფექტურად გამოყენებაზე.</p>

<p>7.2.2. ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა სტუდენტების დასაკმაყოფილებლად.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          ბიბლიოთეკაში მოეწყო სივრცეები სტუდენტებისათვის, დაემტა კომპიუტერები და აღჭურვილობა. ასევე, ბიბლიოთეკიდან სტუდენტებს აქვს მრავალფეროვან სამეცნიერო მონაცემებთან წვდომა.</p>
<p>7.3.1. რეგულაციების შემუშავება სტუდენტების მიერ არასათანადო ან სახიფათო ვებგვერდების ხელმისაწვდომობის შესაზღუდად</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურის დებულებით, ასევე ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების წესზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო ინფორმაციულ მონაცემთა უსაფრთხოებასა და მუდმივი განვითარების პროცესს.</p>
<p>7.3.2. სწავლების მართვის სისტემის ფუნქციონირების გაზრდა განათლების პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მოახდინა ახალი ელექტრონული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება/იმპლემენტაცია.          ამჟამად უსდ-ში ფუნქციონირებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემა (aems.tesau.edu.ge), რომელიც მოიცავს</li> <li>• ფაკულტეტის, ლექტორის და სტუდენტის პროგრამას;</li> <li>• დისტანციური სწავლებისა და პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა (moodle.tesau.edu.ge);</li> <li>• ერთიანი დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow.emis.ge)</li> <li>• უსდ-ს ვებ-გვერდი: <a href="http://www.tesau.edu.ge">www.tesau.edu.ge</a></li> </ul>
<p>7.4.1. უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების მიზნით შეეცადეთ მოიძიოთ ფინანსური რესურსები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ-მ მოიზიდა დაახლოებით 2,5 მილიონი ლარის დაფინანსება, უნივერსიტეტის რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის განახლებისთვის.</p>

**ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუცია იზიარებს რეკომენდაციებს და უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის აპირებს კონკრეტული აქტივობების განხორციელებას, რომელიც სწორედ აღნიშნულ რეკომენდაციებს უკავშირდება. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს აღნიშნულს და მიიჩნევს, რომ მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის, ეს აქტივობები კიდევ უფრო გააუმჯობესებს უნივერსიტეტის საქმიანობას და მის შედეგებს.

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა პოზიცია, კერძოდ:

- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს ორგანიზაციული სტრუქტურის საბოლოო ფორმირება, რომ არ დაბრკოლდეს კანონმდებლობით და შიდა განაწესიგანსაზღვრული პროცესების განხორციელების პროცესი

აღნიშნულთან დაკავშირებით ინსტიტუცია აცხადებს, რომ უკვე დაწყებულია საბოლოო ფორმირების პროცესი და უახლოეს ვადებში ის დასრულდება. რადგან მოცემულ საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ იყო განხორციელებული და ის სამომავლოდ იგეგმება, ექსპერტა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს აღნიშნული. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მისი მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობას; სასწავლო კურსებში საათების განაწილებას; რელევანტური სასწავლო ლიტერატურის შერჩევას

უნივერსიტეტი აცხადებს, რომ იზიარებს რეკომენდაციის შინაარსს და ის გააგრძელებს პროგრამის შემუშავების დროს აღნიშნულის გათვალისწინებას. აქვე განმარტავს, რომ მოცემულ გარემოებებს ისედაც დიდ ყურადღებას უთმობენ. ექსპერტა ჯგუფი გაეცნო მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებს და შენიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ხშირად მეორდება. შესაბამისად მიიჩნევს, მ შემთხვევაში რეკომენდაცია უნდა დარჩეს უცვლელი.

- რეკომენდირებულია არსებობდეს შესაძლებლობა სტუდენტებისთვის - ტრენინგის ან ვორქშოპების სახით, სადაც მათ განუმარტავენ აკადემიური სტილის საკითხებს. აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო წლის ნებისმიერ დროს

უნივერსიტეტი პოზიციიდან ირკვევა, რომ 2022 წელს დაგეგმილია დამატებით რამდენიმე შეხვედრა სტუდენტებთან. რადგან აღნიშნული სცდება მოცემულ საანგარიშო პერიოდს და წარმოადგენს მომავალ დროში დაგეგმილ აქტივობას, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- რეკომენდირებულია ეთიკის კომისიის ფუნქცია-მოვალეობები გადაიხედოს და ამავე კომისიას დაექვემდებაროს კვლევის ეთიკის საკითხების გადაჭრა.

უნივერსიტეტი იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას და გამოთქვამს მზაობას მომავალ საქმიანობაში ყურადღება დაუთმოს აღნიშნულ საკითხს. ესპერტა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სამომავლო აქტივობები, შესაბამისად რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს ორგანიზაციული სტრუქტურის საბოლოო ფორმირება, რომ არ დაბრკოლდეს კანონმდებლობით და შიდა განაწესით განსაზღვრული პროცესების განხორციელების პროცესი;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მისი მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობას; სასწავლო კურსებში საათების განაწილებას; რელევანტური სასწავლო ლიტერატურის შერჩევას;
- რეკომენდირებულია არსებობდეს შესაძლებლობა სტუდენტებისთვის - ტრენინგის ან ვორქშოპების სახით, სადაც მათ განუმარტავენ აკადემიური სტილის საკითხებს. აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო წლის ნებისმიერ დროს.

- რეკომენდირებულია ეთიკის კომისიის ფუნქცია-მოვალეობები გადაიხედოს და ამავე კომისიას დაექვემდებაროს კვლევის ეთიკის საკითხების გადაჭრა.

### რჩევები

- სასურველია განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის განვითარების მიზნით, პორტალზე მოხდეს უფრო მეტი ფუნქციის ინტეგრირება;
- სასურველია, მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის შენარჩუნდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობის იგივე დინამიკა, უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტებისა და რეგიონის სპეციფიკაციების გათვალისწინებით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, რომელიც მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მიეთითოს შექმნის ან ბოლოს განხორციელებული ცვლილების თარიღი;
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების და შედეგების მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საბოლოო განახლება და ყველა იმ ფუნქციის ამუშავება, რომელიც აუცილებელია პროცესების გამართული მუშაობისთვის;
- სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა არსებული კვევითი პროექტების შედეგების დისემინაციის კუთხით. ამჟამად საიტზე განთავსებული ვიდეოები მხოლოდ მცირე ნაწილს წამრადგენს;
- სასურველია, ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების (ტრენინგების) ჩატარების სიხშირე კიდევ უფრო გაიზარდოს, რესურსებზე ხელმისაწვდომობის და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით;
- სასურველია, უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს ბიბლიოთეკის თანამშრომლების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.
- სასურველია, სტუდენტებს არ უწევდეთ ბევრი განსხვავებული პლათფორმის გამოყენება სხვადასხვა კურსებში შუალედური და საბოლოო შეფასებების დროს. თუ შეფასების ერთი კომპონენტს ფარავს ერთი პლათფორმა, სასურველია მეორეც იქვე მომზადდეს. მაგალითად, როცა წერით დავალებებს წარადგენენ მუდლის სისტემაში, სასურველია, ტესტებიც აქვე იყოს მოცემული და ცალკე გუგლ ფორმების გამოყენება არ უწევდეთ.

### საუკეთესო პრაქტიკა

#### დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. საგანმანათლებლო პროგრამები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. უსდ-ის პერსონალი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები**

1. გიგა ხოსიტაშვილი (თავმჯდომარე)

2. ეკატერინე ბაკრაძე (წევრი)

3. ეკა გეგეშიძე (წევრი)

4. ზაზა ცოტნიაშვილი (წევრი)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება**

**1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**  
 მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 სტრატეგიული განვითარება**

- o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- o უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- o უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**  
 მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

**2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

- o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2.1.1. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და დაგეგმა უნივერსიტეტის პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაციის ეტაპები (აკადემიური საბჭოს ოქმი #27, 10.07.2018). პირველ ეტაპზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი (წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი #11, 14.08.2018).

უნივერსიტეტში განისაზღვრა პრიორიტეტები სწავლების მიმართულებების მიხედვით, არსებული პროგრამების რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია პერსონალისა და მათი დატვირთვის სქემების შესაბამისობაში მოყვანა, აკადემიური კონკურსების ჩატარება; განხორციელდა აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო დეპარტამენტების ოპტიმიზაცია, გაერთიანდა რამდენიმე დეპარტამენტი, რამაც შესაძლებელი გახადა ინტერდისციპლინური კვლევების უფრო ეფექტიანად შეფასება, დაგეგმვა და მონიტორინგი. აგრარული მიმართულებით კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი ლაბორატორია. ინტერვიუებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ იგეგმება სტრუქტურული ცვლილებები, შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას.

2.1.2. რეკომენდაციის შესრულების მიზნით განხორციელდა ცვლილებები ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დეტალურად და კონკრეტულად გაიწერა დაგეგმილი აქტივობები. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულების ძირითადი მიზანი 2020-2025 წლებისთვის არის:

- საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო კვლევით აქტივობებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობით;
- უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობით;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების გზით;
- გაცვლით პროექტებში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლის ზრდა.

დასახული მიზნის მისაღწევად საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ხდება ინფორმაციის მოძიება და განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელებში; შეხვედრებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარება საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, რითაც გაიზარდა დაინტერესებული მხარეებისთვის სერვისის მიწოდების ეფექტიანობა, ცნობიერების ამაღლება დაწესებულების მიერ დაგეგმილი საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის შესახებ და შესაბამისად, მომართვიანობა და მონაწილეობის სურვილიც.

2019 წლის ევროკომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსისთვის უნივერსიტეტმა იმუშავა 11 ერაზმუს + განვითარების პროექტებზე (Capacity Building), 2 Horizon 2020 და 4 შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის (BSB) პროექტზე. 2019 წელს საქართველოს პარტნიორობით დაფინანსებული 6 პროექტიდან 4 პროექტში (RURD, LOVEDISTANCE, CISI, ESTA) თელავის უნივერსიტეტი პარტნიორია.

მოცემულ ეტაპზე თესაუ-ში 9 მიმდინარე ინსტიტუციური განვითარების, 2 შავი ზღვის აუზის, 1 USAID და 18 KA107 მობილობის პროექტი ხორციელდება;

ერასმუს + ეროვნული ოფისის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში არსებული ერაზმუს+ პროექტებში მონაწილე 46 უნივერსიტეტიდან თელავის უნივერსიტეტი ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობის მიხედვით, მეოთხე ადგილზეა (2019 წელს - 10 პროექტი, 2020 წელს - 12 პროექტი).

მაღალია ასევე ცალკეული პროგრამების სტუდენტებისა და პროფესორების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ:



- 2018-2021 წლებში თელავის უნივერსიტეტის 47 სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით, 5 სტუდენტი გამგზავრების პროცესშია, 2 სტუდენტმა გადადო მობილობა 2022 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის;
- 2018-2021 წლებში პროექტებში ჩართული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობაა 73;
- 2018-2021 წლებში საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა უცხოურ უნივერსიტეტებში არის 31;

რაც შეეხება უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების ჩართულობას თესაუს საგანმანათლებლო პროცესში, 2019-2021 წლებში პროგრამები გაძლიერდა უცხოელი პროფესორების ჩართულობით ესპანეთიდან, არგენტინიდან, სამხრეთ აფრიკიდან, იტალიიდან, აშშ-დან (ჯამში 42 პროფესორი), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამების შემუშავების პროცესში და აგრძელებენ თესაუსთან თანამშრომლობას, როგორც მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელები;

თესაუ უცხოელ სტუდენტებს მიიღებს აგრეთვე ერასმუს + პროექტის KA 107-ის ფარგლებში გაფორმებული უნივერსიტეტთაშორისი ხელშეკრულების ფარგლებში, კერძოდ ხაენის (ესპანეთის) და მინჰოს (პორტუგალიის) უნივერსიტეტებიდან 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრში.

სამომავლოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს დაგეგმილი აქვს გაცვლითი პროგრამებიდან დაბრუნებული სტუდენტების კლუბის დაარსება და მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში; ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის RURD-ის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ახალ დოკუმენტზე. ეფექტურობის ზრდის კუთხით, უნივერსიტეტში უკვე განხორციელდა გარკვეული აქტივობები. კერძოდ: თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო პროექტების წერის მიმართულებით.

ზემოთ ჩამოთვლილი და დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალის, ასევე ინტერვიუების შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ეფექტიანობა საკმაოდ გაზრდილია.

2.1.3. განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემა (aems.tesau.edu.ge) სამ ელემენტს მოიცავს: ფაკულტეტის (ადმინისტრაციის), ლექტორისა და სტუდენტის პორტალს, რომელსაც, ელექტრონული სერვისების განვითარების გეგმის შესაბამისად, დაემატა ფუნქციები, უფრო კონკრეტულად:

- ფაკულტეტის პროგრამა საშუალებას იძლევა, ადმინისტრაციამ მართოს სტუდენტთა პირადი პორტფოლიო, სასწავლო მეცადინეობის პროცესი და ელექტრონული უწყისები;
- ლექტორის პროგრამის მეშვეობით ლექტორი მართავს პერსონალურ მონაცემებს, ეცნობა სასწავლო მეცადინეობის ცხრილს, სალექციო დატვირთვას, მართავს სასწავლო აქტივობებსა (საგნის შეფასების კომპონენტებს) და სტუდენტთა შეფასებებს, ეცნობა საგანზე რეგისტრირებულ სტუდენტთა ჯგუფს და აქვს წვდომა სტუდენტების მეილებზე, რის მეშვეობითაც შეუძლია კომუნიკაცია ჯგუფთან;
- სტუდენტის პროგრამა იძლევა საშუალებას, სტუდენტმა მართოს პერსონალური და საკონტაქტო ინფორმაცია, გაეცნოს აკადემიურ კალენდარსა და სასწავლო მეცადინეობის ცხრილს. თვალყური ადევნოს მისი პირადი დოკუმენტაციის ჩანაწერებს (სტატუსის ცვლილება, ბრძანება ჩარიცხვის შესახებ, ბრძანება შიდა მობილობის შესახებ და ა.შ), დაინტერესების შემთხვევაში გამოითხოვოს ინდივიდუალური დოკუმენტაცია უნივერსიტეტის კანცელარიიდან, განახორციელოს სასწავლო სემესტრული რეგისტრაციები, თვალყური ადევნოს სასწავლო აქტივობებში მიღებულ შეფასებებსა და საგნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს, გაეცნოს საგნის ელექტრონულ სილაბუსს და ა.შ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული განვითარების მექანიზმების დოკუმენტში გაწერილია განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის განვითარების აქტივობები შესაბამისი ვადის მითითებით:

- 1) 2020-2021 წელი - ფაკულტეტის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება;
- 2) 2020-2021 წელი - ლექტორის პორტალისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება;
- 3) 2020-2021 წელი - სტუდენტის პორტალისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. აკადემიური პერსონალის დანიშვნის შესახებ რექტორის ბრძანებები;
2. <http://erasmusplus.org.ge/services/statistics>
3. უნივერსიტეტში მიმდინარე ინსტიტუციური განვითარების პროექტის ხელშეკრულებები
4. ელექტრონული პორტალი - aems.tesau.edu.ge
5. ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული განვითარების მექანიზმების დოკუმენტი
6. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი
7. ინტერვიუს შედეგები
8. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - tesau.edu.ge

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს ორგანიზაციული სტრუქტურის საბოლოო ფორმირება, რომ არ დაბრკოლდეს კანონმდებლობით და შიდა განაწესით განსაზღვრული პროცესების განხორციელების პროცესი.

**რჩევები:**

სასურველია განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემის განვითარების მიზნით, პორტალზე მოხდეს უფრო მეტი ფუნქციის ინტეგრირება.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2.2.1. ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ დაწერა ონლაინ გამოკითხვის ფორმა, რისთვისაც იყენებს პლატფორმას “Google forms”. დამატებით, AEMS-ის პორტალზე უკვე მოხდა გამოკითხვის რამდენიმე ფორმის ინტეგრირება, რომელსაც ადმინისტრაცია იყენებს. ჩატარებული ინტერვიუებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული 2021 წლის გაზაფხული სემესტრის კვლევის შედეგებით დგინდება, რომ ონლაინ ფორმატი ამარტივებს გამოკითხვის ფორმაზე წვდომისა და ჩართულობის პროცესს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვას გამოკითხვის პროცესში. რაც შეეხება შეფასების პროცედურას, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების მონიტორინგს, აჯამებს შედეგების სახით მიღებულ უკუკავშირს, იხილავს ფაკულტეტის საბჭოზე და აძლევს შესაბამის რეკომენდაციას ფაკულტეტის ადმინისტრაციას შედეგების გათვალისწინებით, რითაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამის განვითარება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. პროგრამების შედეგების მიღწევადობის სტატისტიკა;
2. სტუდენტთა და პერსონალის ელექტრონული გამოკითხვები.

3. ინტერვიუს შედეგები
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p><b>2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.</li> <li>○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.</li> <li>○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი (2020 წელი, ოქმი #17), რომელიც შემუშავდა უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის საფუძველზე, განსაზღვრავს პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის, პრევენციის, აღმოჩენის მექანიზმებსა და რეაგირების პროცედურებს. დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი დაწესებულების მიზანი, თუ რა მექანიზმებით უწყობს ხელს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში აკადემიური ეთიკის დაცვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად. პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი ითვალისწინებს პლაგიატის პრევენციას როგორც პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. პლაგიატის გამოვლენის მიზნით დაწესებულებაში დანერგილია პროგრამა TURNITIN, პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, პროფესორის სამეცნიერო ნაშრომი არ ქვეყნდება და მას უკან უბრუნდება ნაშრომი შესწორებისთვის. რაც შეეხება პლაგიატის დადასტურებას სტუდენტის ნაშრომის შემთხვევაში, პლაგიატის შემსწავლელი კომისია (რომელიც დაკომპლექტებულია ყოველი ფაკულტეტიდან 1 წარმომადგენლით, ჯამში 5 წევრი) შეისწავლის და განიხილავს ნაშრომს, საჭიროების შემთხვევაში - მოწვეულია დარგის სპეციალისტი. დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი პლაგიატის შემსწავლელი კომისიის საქმიანობა, განსაზღვრულია ასევე დისციპლინატული პასუხისმგებლობის ფორმები როგორც პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, TURNITIN-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების სტატისტიკური მინაცემებით, 2018 წლიდან, თესაუში, ატვირთულ ნამუშევარზე ხელმძღვანელის მხრიდან განხორციელებულია 3535 შეფასება.</p> <p>აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად ხორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თესაუში ჩარიცხულ სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი, ეთიკის კოდექსი მიეწოდებათ ხელშეკრულებასთან ერთად, ისინი ეცნობიან ეთიკის ნორმებს და ადასტურებენ ხელმოწერით.</li> <li>• ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესახებ ეთიკის კომიტეტის მიერ;</li> <li>• ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;</li> </ul>

- შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია აკადემიური წერის სილაბუსებში როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ასევე სადოქტორო საფეხურებზე;
- ტარდება ტრენინგები, საჯარო ლექციები, ხდება ვიდეოკლიპების ჩვენება, სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობა და სხვა;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისა და ინფორმირების მიზნით ბიბლიოთეკა აღიჭურვა 15 სხვადასხვა სახეობის უახლესი გამომცემლობის წიგნადი ფონდით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი;
2. ეთიკის კოდექსი;
3. ხელშეკრულება Turnitin-ის წარმომადგენლობასთან;
4. ინტერვიუს შედეგები
5. TURNITIN-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების სტატისტიკური მინაცემები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**3. საგანმანათლებლო პროგრამები**

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება**

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით, სასწავლო პროგრამის შემუშავების ეტაპზე, მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება გარე დაინტერესებული მხარეების ინტეგრირებას. ამ კუთხით უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ასევე, პროგრამის მოსამზადებელ ეტაპზე ატარებს ბაზრის კვლევას. ბაზრის კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვება ხდება ძირითადად, რეგიონში არსებული დამსაქმებლებისგან, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი კონტაქტებით. ამ მიზნით დგება კითხვარი, რომელიც ელექტრონულად ეგზავნება დაინტერესებულ პირებს. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხდება მისი ანალიზი და პროგრამის სამუშაო ჯგუფი, შესაბამის რეკომენდაციას ასახავს პროგრამის შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი აღნიშნულ კვლევას ატარებს, არამხოლოდ საწყის ეტაპზე, არამედ გარკვეული პერიოდულობით და ასევე მსჯელობს იმ ახალ ინიციატივებზე, რომელიც დამსაქმებლების მხრიდან შეიძლება არსებობდეს. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, რამდენიმე სასწავლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება სწორედ დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით, კერძოდ:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში, მევენახეობა-მეღვინეობა დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი 10 კრედიტამდე: საწარმოო პრაქტიკა მევენახეობაში- 5 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა მეღვინეობაში - 5 კრედიტი.
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში დამსაქმებლის რეკომენდაციით დაემატა სასწავლო კურსები მარკეტინგის და პროექტის მართვის მიმართულებით.
- აგრონომიისა და სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე გაიზარდა ლაბორატორიული სამუშაოების ხვედრითი წილი
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტის წილი

მოცემულ საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტმა ცვლლება შეიტანა რამდენიმე სასწავლო პროგრამის კომპონენტში. კერძოდ, გააძლიერა პრაქტიკის ნაწილი, რიგ შემთხვევებში გაზარდა პრაქტიკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა. რამდენიმე პროგრამის შემთხვევაში კი მოიწვია უშუალოდ დარგის მიმართულებით პრაქტიკოსები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში, მაგ. ღვინის მწარმოებელი კომპანიებში დასაქმებული პირები ლექციებს კითხულობენ ტურიზმის და სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე, მევენახეობის მიმართულებით. თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე რაიონის პროკურორი ჩართულნი არიან სამართლის მიმართულებით პროგრამის განხორციელებაში.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად, რამდენიმე პროგრამაზე, სასწავლო კურსებში საათობრივი განაწილება შეცვალა, კერძოდ, რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში სააუდიტორიო მეცადინეობები გაიზარდა სამ საათამდე, რამდენიმე კურსის შემთხვევაში კი, გაიზარდა ლაბორატორიული სამუშაოებისთვის გამოყოფილი დრო. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, ექსპერტა ჯგუფს საშუალება მიეცა გადაემოწმებინა, რამდენად ადეკვატური იყო აღნიშნული ცვლილებები მათსავე საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ინტერესებში იყო ლაბორატორიული სამუშაოებისთვის უფრო მეტი დროის დათმობა.

ექსპერტა ჯგუფმა ასევე შეისწავლა ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი, რომელზეც განხორციელდა სააკრედიტაციო წარმოება მოცემულ საანგარიშო პერიოდში. დასკვნების გაცნობის შემდეგ აღოჩნდა, რომ სასწავლო პროგრამების ნაწილს აკრედიტაცია აქვს მინიჭებული ან ანგარიშის წარდგენის, ან მონიტორინგის ვალდებულებით. რაც მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ უნივერსიტეტს ჯერჯერობით ბოლომდე არ აქვს გადაჭრილი ის გამოწვევები, რომელიც უკავშირდება სასწავლო პროგრამების შემუშავებას არსებული სტანდარტების მიხედვით. უშუალოდ ამ ნაწილში, რეკომენდაციების ნაწილი უკავშირდებოდა სასწავლო ლიტერატურის განახლებასა და გამდიდრებას; სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების განსაზღვრას; გარკვეულ კურსებში მინიჭებული კრედიტების რაოდენობის გადაანგარიშებას და სხვ.

ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობანია უნივერსიტეტის მხრიდან გაწეული საქმიანობა, ის აქტივობები, რომელიც ამ რეკომენდაციების შესასრულებლად გადაიდგა, თუმცა აღნიშნავს, რომ აუცილებელია შესაბამისმა სამსახურებმა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა რომ სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე არ შეექმნას პრობლემები, შესაბამისობაში მოვიდეს არსებული პროგრამები მათსავე მიზნებთან და შედეგებთან, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამების აკრედიტაციის ან რეაკრედიტაციის პროცესში უნივერსიტეტმა უკეთ წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში რეკომენდაციების ნაწილი სრულად შესრულდა, ნაწილი კი მეტწილად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. რეკომენდაციების საპასუხოდ მომზადებული თვითშეფასების ანგარიში
2. საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები
3. ბაზრის კვლევის ანგარიში
4. დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები
5. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
6. ინტერვიუს შედეგები
7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი [tesau.edu.ge](http://tesau.edu.ge)

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>1. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მისი მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობას; სასწავლო კურსებში საათების განაწილებას; რელევანტური სასწავლო ლიტერატურის შერჩევას.</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის შენარჩუნდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობის იგივე დინამიკა, უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტებისა და რეგიონის სპეციფიკაციების გათვალისწინებით.</li> </ul>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p><b>3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</li> <li>○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>არსებული რეკომენდაციების საპასუხოდ, მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა განახორციელა რამდენიმე ცვლილება. კერძოდ, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის გამოცდა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა სტუდენტებს და ასევე, აკადემიურ პერსონალს - პროგრამის ხელმძღვანელებს, სადაც აღნიშნული გარემოების გადამოწმება მოხდა. უნივერსიტეტი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში მისაღებ გამოცდათ განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, ამ მიზნით თავად უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას იმ აპლიკანტებისთვის, ვისაც მიმდინარე ეტაპზე არ აქვს საერთაშორისოდ აღიარებული, ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი.</p> <p>პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა ცვლილება შეიტან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაზრდის, ან სასწავლო კურსებში პრაქტიკის ნაწილი გაზრდისთვის. მაგ. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მეტი დრო გაატარონ პრაქტიკის ობიექტზე; ბიოლოგიის სასწავლო პროგრამაში, ლაბორატორიული სამუშაოების მიმართულებით გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობა.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს დაადგინა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობენ ის სტუდენტები, ვინც გარე მობილობის შედეგად ჩაირიცხა, ასევე, არის პრაქტიკა პატიმარი სტუდენტი არსებობისა და შესაბამისად, მათთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.</p> <p>სასწავლო პროგრამების კატალოგი ღიად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის მოცემული სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ფაკულტეტების და სწავლების საფეხურის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული იყოს ან შექმნის თარიღი, ან ის თარიღი, როცა ბოლო ცვლილება შევიდა დოკუმენტში.</p>

წარმოდგენილი გარემოებების ანალიზის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა ის რეკომენდაცია, რაც ამ ნაწილში იყო წაყენებული. შედეგების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, სასურველია, მომდევნო საანგარიშო პერიოდში გაგრძელდეს იგივე დინამიკა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
1. რეკომენდაციების საპასუხოდ მომზადებული თვითშეფასების ანგარიში
  2. საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები
  3. დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები
  4. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები
  5. ინტერვიუს შედეგები
  6. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი [tesau.edu.ge](http://tesau.edu.ge)

**რეკომენდაციები:**

- რჩევები:**
1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, რომელიც მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მიეთითოს შექმნის ან ბოლოს განხორციელებული ცვლილების თარიღი.

- შეფასება:**
- მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4. უსდ-ის პერსონალი**

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

**4.1. პერსონალის მართვა**

- o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტში არსებული პროგრამების ფარგლებში, ცალკეული პროგრამების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება შესაბამის დარგში პროფესიონალი კადრების მოწვევა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან. პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუებისას დაადასტურეს, რომ პრაქტიკული აქტივობების დანერგვა (მაგ. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში დაინერგირებულია იურიდიული კლინიკა) და სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური პოზიციების დაკავება დოქტორის ხარისხის მქონე პრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ (მაგ. მევენახეობის მიმართულებით დაემატა 1 ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიის მიმართულებით - 2 ასოცირებული პროფესორი, ასევე, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს, პროგრამების განვითარებისათვის, დაემატა რამდენიმე კვალიფიციური კადრი) კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი სწავლის პროცესშივე ინტეგრირდეს თეორიულ სწავლებასთან.

2019-2021 წლებში უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადების მიზნით მოხდა ბიუჯეტის გაზრდა 50 %-ით, 5000 ლარიდან 10000 ლარამდე. დამატებით, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში (PRINTEL და INTEGRITY) მოხდა პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდებში. მოცემული ეტაპისთვის ჯამში გადამზადდა უნივერსიტეტის 117 პერსონალი. პროექტის ღირებულება დაახლოებით 22402 ლარს შეადგენს. სამომავლოდ, დაგეგმილია პერსონალის გადამზადება საერთაშორისო პროექტის LOVEDISTANCE ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებით გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ამომწურავი ინფორმაცია მიიღო ჩატარებული ინტერვიუების დროს. მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა გაითვალისწინა არსებული რეკომენდაციები. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტით განხორციელებული აქტივობები არის



დროში შეზღუდული და ერთჯერადი ხასიათი აქვს, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აღნიშნული აქტივობების მდგრადობა და უწყვეტი მიწოდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

2. პერსონალის დანიშვნის შესახებ რექტორის ბრძანებები;
3. პერსონალის გადამზადების მტკიცებულებების შესახებ დოკუმენტაცია
4. ინტერვიუს შედეგები
5. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - [tesau.edu.ge](http://tesau.edu.ge)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების და შედეგების მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა**

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

<p><b>5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>ექსპერტთა ჯგუფმა აქცენტი გააკეთა AEMS-ს სისტემის მუშაობის შესწავლაზე. როგორც ირკვევა, აღნიშნულ განათლების მართვის ავტომატიზირებულ სისტემას საავტორიზაციო ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, დაემატა გარკვეული ფუნქციები: ფაკულტეტის (ადმინისტრაციის), ლექტორის და სტუდენტის პორტალები.</p> <p>სისტემაში წარმოდგელობს: სტუდენტთა პირადი პორტფოლიო (პირადი მონაცემები, საკონტაქტო მონაცემები, სტუდენტის მიერ ათვისებული საგნები და შეფასებები, სტუდენტთა ბრძანების ჩანაწერები, სტატუსი, გრანტი, სასწავლო რეგისტრაციები და ა.შ.). სასწავლო მეცადინეობის პროცესი (საგნების ნუსხა, სასწავლო განრიგი, საუნივერსიტეტო აუდიტორიები, ლექტორთა დატვირთვები და ა.შ.), ელექტრონული უწყისები (საგნობრივი მინიმალური კომპეტენციები, სილაბუსები, უწყისები და ა.შ.).</p> <p>aems.tesau.edu.ge ის დათვალიერება და მისი ფუნქციების შემოწმება, ინტერვიუები პროფესორებთან და სტუდენტებთან ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სისტემა ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვას, ამიტომაც ხდება დამატებით სხვადასხვა არსაუნივერსიტეტო რესურსის გამოყენება (მაგ. სტუდენტები მიუთითებენ ფეისბუქის დახურულ ჯგუფებზე). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თავად ინსტიტუციაც ხედავს აღნიშნული სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესების შესაძლებლობას და საჭიროებას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია ინსტიტუციამ გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით, ვიდრე არ მოხდება ყველა ფუნქციის ათვისება.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე</li> <li>2. განათლების მართვის ავტომატიზირებულ სისტემას - aems.tesau.edu.ge</li> <li>3. ინტერვიუს შედეგები</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საბოლოო განახლება და ყველა იმ ფუნქციის ამუშავება, რომელიც აუცილებელია პროცესების გამართული მუშაობისთვის.</li> </ul>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- o უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა: დამოუკიდებელი სტუდენტური სერვის ცენტრების შექმნას სტუდენტთა აქტივობების, დაკვალიანებისა და კარიერული განვითარების მხარდასაჭერად და სტუდენტების მეტ ჩართულობას საერთაშორისო აქტივობებში, მაგალითად, გაცვლით პროგრამებში.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე წარმართა ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ინსტიტუციამ შექმნა სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომლის საქმიანობა დეტალურადაა წარმოდგენილი უნივერსიტეტის ანგარიშში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. დოკუმენტაციის შესწავლისა და სამუშაო ვიზიტის პროცესში დადასტურდა აღნიშნული მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯები. კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელი პერმანენტულად და პროაქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას დასაქმებასთან დაკავშირებული სიახლეების თაობაზე. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმების გაფორმებას და მათ შორის ირიბად ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ცალსახად დადებითი ტენდენციაა.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა უნივერსიტეტის აქტიურობა სტუდენტების ჩართულობის თვალსაზრისით საერთაშორისო აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ უნივერსიტეტმა სრულად შეასრულა ამ ნაწილში მიღებული რეკომენდაციები, რაც დასტურდება შესაბამისი აქტივობებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
2. კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის დებულება;
3. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული უნივერსიტეტთაშორისი ხელშეკრულებები;
4. უნივერსიტეტის ვებგვერდი - [tesau.edu.ge/](http://tesau.edu.ge/)
5. ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

<b>რჩევები:</b>
<b>შეფასება:</b>
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

<b>6.1 კვლევითი საქმიანობა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.</li> <li>○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.</li> <li>○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p>ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომ კვლევის ნაყოფიერებისა და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების ზრდა; საუნივერსიტეტო პუბლიკაციებისა და მსგავსი მასალების გავრცელების სტანდარტების განსაზღვრა, რათა თავიდან იყოს აცილებული ისეთი სამეცნიერო ნამუშევრის გავრცელება, რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ აკადემიურ სტანდარტებს; შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური საქმიანობის მაღალ სტანდარტებს - ჩვენი მონიტორინგის საგნად იქცა.</p> <p>როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა მევენახეობისა-მეღვინეობის და ტურიზმის კვლევების განვითარებაში უნივერსიტეტის როლის გააქტიურების მიზნით, უნივერსიტეტმა ერთ-ერთ ეფექტურ გზად დასახა სამეცნიერო პროექტების დაფინანსების გაზრდა, რაც დასტურდებოდა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროსაც. წარმოდგენილი მტკიცებულებით ჩანს აღნიშნული მიმართულებით გაფორმებული მემორანდუმები და გამოქვეყნებული კვლევები. გაუმჯობესებულია კვლევითი ინფრასტრუქტურა. ამავე დროს მოქმედ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე პროფესორები და სტუდენტები ატარებენ კვლევებს შესაბამის საწარმოებში.</p> <p>უნივერსიტეტში შექმნილია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისთვის ინფორმაციის სისტემატურ მიწოდებას კვლევითი გამოცემების შესახებ. მოცემულ საანგარიშო პერიოდში მოიმატა კვლევითი ნაშრომების შექმნისა და პუბლიკაციის რიცხვმა.</p> <p>როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალს, რომ მათ განვივითარონ მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნის და გამოქვეყნების უნარები. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატიები მოწმდება პლაგიატზე (პროგრამა Turnitin); კრებული გახდა რეფერირებადი, სტატიები ექვემდებარება ორმხრივ ფარულ („ბრმა“) რეცენზირებას; ერთვის შედარებით ვრცელი, ორენოვანი აბსტრაქტები; სარედაქციო კოლეგია გაძლიერდა უცხოელი კოლეგებით; კრებული შედგენილია SCOPUS-ის კლასიფიკატორის მიხედვით.</p>

მოცემული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინსტიტუციამ აღნიშნული რეკომენდაციები სრულად შეასრულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიების/ფორუმებში მონაწილეობის მასალების ნიმუშები;
2. საკონფერენციო პროგრამები;
3. უცხოელ კოლეგებთან დადებული ხელშეკრულებები;
4. ინტერვიუს შედეგები
5. უნივერსიტეტის ვებგვერდი -[tesau.edu.ge/](http://tesau.edu.ge/)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნული მიმართულებით შესწავლის ძირითადი საკითხები ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციები იყო: საუნივერსიტეტო კვლევის მხარდამჭერი საქმიანობის დაკავშირება კვლევის განვითარების მკაფიოდ განსაზღვრულ გამოწვევებთან; სტრატეგიის დანერგვა, რაც უნივერსიტეტს დაეხმარება კონკურენცია გაუწიოს სხვა უნივერსიტეტებს ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვაში; უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის დაკავშირება უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და განვითარების საჭიროებებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება უნივერსიტეტის მცდელობა კვლევების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარების მიმართულებით. უნივერსიტეტმა ორგანიზაციებიდან მოიწვია ახალგაზრდა, პრაქტიკოსი მკვლევრები, რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში. გაღრმავდა საწარმოებთან კომუნიკაცია აღნიშნული მიმართულებით. განხორციელდა აკადემიური თანამდებობების ახალგაზრდა კადრებით შევსება. გაიზარდა სამეცნიერო პროექტების შიდადაფინანსების მოცულობა. კვლევითი შესაძლებლობების განვითარების ხელშესაწყობად უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება ტრენინგები. როგორც თვითშეფასებში ვკითხულობთ, სტრატეგიული პრიორიტეტების (აგრარული მეცნიერებები; ტურიზმი, განათლება) მიმართულებით, საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის კავშირების მოძიება-გაფართოებისა და ინტერნაციონალიზაციის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტმა დასახა რამდენიმე მხარდამჭერი ამოცანა, კერძოდ: უცხოელი კოლეგების აქტიური მონაწილეობით სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამების შექმნა და მათი კვლევით კომპონენტში მონაწილეობა; საერთაშორისო კვლევით პროექტებში უფრო აქტიურად ჩართვა; კვლევითი ვიზიტებისა და მობილობების განხორციელება - სხვების გამოცდილების შესწავლა და საკუთარი კვლევითი შედეგების უცხოელი კოლეგებისათვის გაზიარება.

ექსპერტა ჯგუფი მხედველობაში იღებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს, ასევე, სამოქმედო არეალს და მიიჩნევს, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული რეკომენდაციები შესრულდა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
1. ინტერვიუს შედეგები;
  2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ დებულება;
  3. საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები/ბრძანებები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- შეფასება:**
- მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და ინტერვიუების შედეგების მიხედვით ჩანს, რომ დასწესებულებამ განახორციელა გარკვეული აქტივობები - ახალი ფორმით ჩამოყალიბდა შიდა შეფასების სისტემა; შემუშავდა სისტემა, რომელიც იკვლევს პროფესორთა აკადემიურ აქტიურობას, რაც ორიენტირებულია პროფესორების სტიმულზე, რომ იყვნენ პროდუქტიულები.

ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კარგი იქნებოდა, პროფესორების გარკვეული ფინანსური სტიმულირება წარმატებული სამეცნიერო პუბლიკაციების შესაბამისად.

ეთიკური კვლევის ხელის შემწყობ მქეანიზმს წარმოადგენს დაწესებულების დებულება, რომელიც პლაგიატის გამოვლენას და მასზე რეაგირებას განსაზღვრავს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური ნაშრომების შესრულების წესები მოცემულია სამაგისტრო/საბაკალავრო და სადოქტორო დებულებებში. ექსპერტა ჯგუფი დაინტერესდა ვინ აწვდიდა ინფორმაციას სტუდენტებს, კონკრეტული აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ. არსებული პრაქტიკა მიგვანიშნებს, რომ სტუდენტი ან დამოუკიდებლად ეცნობა აღნიშნულ მოთხოვნებს, ან უშუალოდ სამეცნიერო ხელმძღვანელი განუმარტავს. თუმცა ინტერვიუს დროს, რამდენიმე აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მსგავსი ინსტრუქციის მიწოდება სცდება მათ ფუნქციებს. ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის არსებობდეს შესაძლებლობა, რომ აკადემიური სტილის საკითხებზე დაესწრონ ტრენინგებს როცა მათ ეს სჭირდებათ. აღნიშნული სახის ტრენინგები უნდა იყოს მუდმივ რეჟიმში ხელმისაწვდომი.

ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა ეთიკის კომისიის წარმომადგენელს, აღნიშნული კომისია განიხილავს აკადემიური გადაცდომის საკითხებს და შესაბამისს გადაწყვეტილებას წარუდგენს ლექტორს. ეთიკის კომისიის წევრები ბოლომდე არ იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ ეთიკის კოდექსს, პლაგიატის წესს. სასურველია უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით გააძლიეროს მუშაობა და ეთიკის კომისიაზე მოხდეს არა მხოლოდ გადაცდომების განხილვა, არამედ, კვლევის ეთიკის საკითხების დაფარვაც.

საუნივერსიტეტო სამეცნიერო საქმიანობის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, დაწესებულება საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე ფართოდ აშუქებს სამეცნიერო აქტივობებს, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შესაბამისის მასალები.

მოცემული ვითარების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტის ამ ნაწილში არსებული რეკომენდაციები მეტწილად შესრულებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ინტერვიუს შედეგები;
2. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა
3. პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი
4. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდირებულია არსებობდეს შესაძლებლობა სტუდენტებისთვის - ტრენინგის ან ვორქშოპების სახით, სადაც მათ განუმარტავენ აკადემიური სტილის საკითხებს. აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო წლის ნებისმიერ დროს.
2. რეკომენდირებულია ეთიკის კომისიის ფუნქცია-მოვალეობები გადაიხედოს და ამავე კომისიას დაექვემდებაროს კვლევის ეთიკის საკითხების გადაჭრა.

**რჩევები:**

- სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა არსებული კვევითი პროექტების შედეგების დისემინაციის კუთხით. ამჟამად საიტზე განთავსებული ვიდეოები მხოლოდ მცირე ნაწილს წამროადგენს.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.</li> <li>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.</li> </ul>

- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტს აქვს მდიდარი მატერიალური ბაზა, რათა მოემსახუროს ყოველწლიურად ჩარიცხულ სტუდენტებს, მისი მიწის საერთო ფართობია 63,000 მ2, 13 შენობა, არასასოფლო სამეურნეო მიწის 12,703 მ2 და 160,000 მ2 სასოფლო სამეურნეო მიწა კვლევისა და პრაქტიკული სამუშაოსთვის.

დაწესებულების საკუთრებაში ან მართლობაში მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ უსდ-ს შენობაში განთავსებულია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსო/სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, არქივი. სათავსოების განლაგება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. უსდ-მ წარმოადგინა შესაბამისი მართლობითი ფლობის დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები ადჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ორივე სასწავლო კორპუსისა და ბიბლიოთეკის შესავლელი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, პირველ სასწავლო კორპუსში დამონტაჟდა ლიფტი და ეტლით მოსარგებლე პირებს შეუძლიათ შეუფერხებლად გადაადგილდნენ შენობის ხუთივე სართულზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს წვდომა აქვს პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, თუმცა ასეთი სტუდენტი მათ არ ყავთ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის არსებობს შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძი; შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა.

ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მთლიანად რეაბილიტაციის პროცესშია, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსი, აუდიტორიები, ლაბორატორიები, სტუდენტთა სივრცეები.

უნივერსიტეტის თითოეულ სართულზე არის მუდმივი განათება, ვენტილაცია და წყალმომარაგება. მიმდინარეობს მუდმივი სადღეინფექციო სამუშაოები. ყველა შენობაშია ცენტრალური გათბობის სისტემა, ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (თანდართული ინსტრუქციით) და ევაკუაციის გეგმა განთავსებულია თითოეულ სართულზე, როგორც ცენტრალურ ისე, საევაკუაციო გასასვლელში.



ბოლო 2 წლის განმავლობაში მოხდა უსდ-ს ლაბორატორიების აღიჭურვა სხვადასხვა ტექნიკითა და ინვენტარით, აუდიტორიებში დაემატა პროექტორები. ლაბორატორიები და კვლევითი ცენტრები შესაბამისობაშია უსდ-ს პროგრამებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცობისა და ადგილზე ვიზიტის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ავტორიზაციის მონიტორინგის საფუძველზე სტანდარტთან მიმართებით გაკეთებული რეკომენდაციები სრულად შესრულებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ავტორიზაციის მონიტორინგის თვითსეფასების დოკუმენტი;
2. ინტერვიუს შედეგები;
3. უსდ-ს ვებგვერდი - tesau.edu.ge
4. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, მიწის დარეგისტრირების შესახებ;
5. შიდა ხანძარსაწინააღმდეგო ონკანების, ცეცხლმაქრების გადამუხტვის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების ჩატარების შესახებ დადებული ხელშეკრულება;
7. მალე დაბვასთან დაკავშირებით გამაფრთხილებელი სურათები;
8. ექსპერტთა მიერ განხორციელებული ვიზიტი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

- მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**7.2. საბიბლიოთეკო რესურსები**

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. უსდ-ს აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები განთავსებულია თავად ბიბლიოთეკაში და უსდ-ს ვებგვერდზე. ადგილზე არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატი, რომლებიც სტუდენტებს შეუძლიათ თავსუფალი სარგებლობა.

ბიბლიოთეკის ბეჭდური რესურსები მრავალფეროვანია, ითვლის 160 000-ზე მეტ ეგზემპლიარს. მათ შორის არის უნიკალური ერეკლე II-ს კანონთა წიგნები. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში. მუშაობს სპეციალური საბიბლიოთეკო პროგრამა.

პროფესორ მასწავლებლებს და სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა: მათ შორისაა:

1. Cambridge Journals Online
2. Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
3. SAGE Premier
4. SAGE APCs for Open Access Journals
5. IMechE Journals
6. Royal Society Journals Collection
7. Openedition Journals
8. BioOneComplete
9. EBSCO Food Science Source

**ამასტანავე გაზრდილია ბაზების მოხმარების სტატისტიკა.**

ბიბლიოთეკაში დამატებით დაასაქმეს ინგლისური ენის მცოდნე პირი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს ბაზების გამოყენებაში, ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს (ბიბლიოთეკარი) საბიბლიოთეკო საქმეში გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, მათ შორის, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი კონსულტაციის გასაწევად.

ბიბლიოთეკის მართვის სისტემისთვის იყენებს შესაბამის IT პროგრამას <http://tesau.library.ac.ge/> უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას.

პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ელექტრონული რესურსების განვითარებაზე და განახლებაზე, ასევე საინფორმაციო რესურსების განახლებაზე მუდმივი ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და ჯამში დახარჯულია 110 ათასზე მეტი 2018 წლის შემდეგ. პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით უსდ მუდმივად ზრუნავს რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე.

ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკის არსებული სერვისები და რესურსები სრულად ფარავს იმ საჭიროებას, რაც უნივერსიტეტში პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის არის საჭირო. მოცემულ ნაწილში რეკომენდაციები სრულად შესრულებულია. სასურველია არსებული შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ინსტიტუციამ შეინარჩუნოს იგივე მიდგომა საბიბლიოთეკო რესურსების მოპოვებისა და შესაბამისი სერვისების შეთავაზების მიმართულებით. ასევე, სასურველია ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, უცხოური პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ელ. ბაზების წარმომადგენლობებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ელ. ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- უსდ-ს ვებგვერდი - [tesau.edu.ge](http://tesau.edu.ge);
- ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სასურველია, ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების (ტრენინგების) ჩატარების სიხშირე კიდევ უფრო გაიზარდოს, რესურსებზე ხელმისაწვდომობის და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.
- სასურველია, უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს ბიბლიოთეკის თანამშრომლების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.3 საინფორმაციო რესურსი**

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგულია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უსდ-მ ბოლო სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად განავითარა საინფორმაციო, რესურსი, რა თქმა უნდა ეს COVID-19-ის პანდემიის გამო ბაზრზე გაჩენილმა მოთხოვნებმაც უფრო დააჩქარა. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით, რომელთა უსაფთხოება უზრუნველყოფილია, სერვერული მოწყობილობების, პროგრამული და სისტემური კონფიგურაციისა და ანტივირუსული პროგრამული ელემენტების მუდმივად განახლებული მოწყობით. უსდ-ში ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური დებულება და უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა. საინფორმაციო, ტექნოლოგიური რესურსი შესაბამისობაშია, უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის, სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის საჭიროებებთან და მოთხოვნებთან. უსდ-ში ტექნოლოგიების რისკების მართვა მიმდინარეობს ადეკვატურად და ეფექტურად, უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა) და ხორციელდება საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასება.

ამჟამად უსდ-ში ფუნქციონირებს:

- განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემა (aems.tesau.edu.ge), რომელიც მოიცავს ფაკულტეტის, ლექტორის და სტუდენტის პროგრამას;
- დისტანციური სწავლებისა და პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა (moodle.tesau.edu.ge);
- ერთიანი დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow.emis.ge)
- უსდ-ს ვებ-გვერდი: www.tesau.edu.ge

თესაუ-ს აქვს ოფიციალური ვებგვერდი, <https://tesau.edu.ge/>, რომელიც, ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისთვის. ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

უნივერსიტეტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურის დებულებით, ასევე ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების წესზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო ინფორმაციულ მონაცემთა უსაფრთხოებასა და მუდმივი განვითარების პროცესს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ სტანდარტით გათვალისწინებული რეკომენდაციები სრულად შესრულებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

- aems.tesau.edu.ge.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და ოფიციალური ვებ გვერდების მართვის წესი;
- უსდ-ს ვებგვერდი - tesau.edu.ge;
- ექსპერტთა მიერ განხორციელებული ადგილზე ვიზიტი.

**რეკომენდაციები:**

- რჩევები:**
- სასურველია, სტუდენტებს არ უწევდეთ ბევრი განსხვავებული პლათფორმის გამოყენება სხვადასხვა კურსებში შუალედური და საბოლოო შეფასებების დროს. თუ შეფასების ერთი კომპონენტს ფარავს ერთი პლათფორმა, სასურველია მეორეც იქვე მომზადდეს. მაგალითად, როცა წერით დავალებებს წარადგენენ მუდლის სისტემაში, სასურველია, ტესტებიც აქვე იყო მოცემული და ცალკე გუგლ ფორმების გამოყენება არ უწევდეთ.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.4 ფინანსური რესურსი**

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2019-2021 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიიღო 2019172 ლარის დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის განახლებას. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოიყო 318634,93 ლარი, რის საფუძველზეც მოხდა მე-4 სასწავლო კორპუსის ეზოს გასუთავება და ახალი ღობით შეფარგვლა, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 318634,93 ლარი.

ამჟამად უსდ მუშაობს თანხების მოძიებაზე უნივერსიტეტის მე-4 სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციისთვის, სადაც გეგმავს აგრარული მიმართულების თანამედროვე სასწავლო ცენტრის შექმნა.

ცალკე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა 149600 ლარით, აგრარული მიმართულების ლაბორატორიების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვისათვა. ასევე აღჭურვლობა შეძენილია, უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტის - „გლობალური ქსელის შექმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და მევენახეობა-მეღვინეობისთვის: ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი პროგრამების მეშვეობით“ (VITAGLOBAL) ფარგლებში. უსდ-ში მიდინარე პროექტების ფარგლებში ასევე ფინანსდება ლაბორატორიების გამდიდრება და აღჭურვა.

2019-2021 წლებში საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში გადმოცემულია 4608 ლარის ღირებულების წიგნადი ფონდი, ხოლო საერთაშორისო პროექტის CISI-ის 27052 ლარის ღირებულების, ხოლო - LOVEDISTANCE ფარგლებში შექმნილია 2700 ლარის წიგნადი ფონდი.

სულ 2019-2021 წლებში სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტებიდან მიღებულია 581615,70 ლარის დაფინანსება და ნაჩუქარი ქონება, აუდიტორიების რეაბილიტაციის, ინვენტარისა, ლაბორატორიული აღჭურვისათვის შესაძენად, შექმნილია და ნაჩუქარია 31845 ლარის წიგნადი ფონდი.

ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი აქტივობებით უნივერსიტეტმა სრულად უზრუნველყო ამ ნაწილში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
1. ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიში;
  2. მთავრობის დადგენილება რეაბილიტაციაზე თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით;
  3. ლიფტის მონტაჟის მიღება-ჩაბარების აქტი;
  4. პირველი კორპუსის შიდა რეაბილიტაციაზე მიღება-ჩაბარების აქტები;
  5. ხელშეკრულება უნივერსიტეტის ფასადის რეაბილიტაციაზე თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით;
  6. მე-4 სასაწავლო კორპუსის ღობის მონტაჟის მიღება-ჩაბარების აქტი;
  7. ქრომატოგრაფების შექმნის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები;
  8. მოზიდული თანხებით ინვენტარის, ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნისა და გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  9. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში წიგნადი ფონდის შექმნის და გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
  10. ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
---	----------------------	---------------	---	------	---	---

1	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი-1109		აკრედიტებული	18/11/2011 314
2	ისტორია	ქართული	ისტორიის ბაკალავრი-1004		აკრედიტებული	04/11/2011 330
3	ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრი - 1005		აკრედიტებული	04/11/2011 331
4	ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	ფილოლოგიის ბაკალავრი-1005		აკრედიტებული	04/11/2011 332
5	ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე	ქართული	ფილოლოგიის მაგისტრი-1005		აკრედიტებული	02/08/2012 303
6	ახალი და უახლესი ისტორია	ქართული	ისტორიის მაგისტრი-1004		აკრედიტებული	02/08/2012 308
7	ტურიზმი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი-1120		აკრედიტებული	18/11/2011 316
8	ეკოლოგია	ქართული	ეკოლოგიის მაგისტრი-1102		აკრედიტებული	02/08/2012 305
9	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ისტორია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)	ქართული			აკრედიტებული	17/03/2016 2
10	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი-06		აკრედიტებული	12/07/2016 41
11	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი-0701		აკრედიტებული	28/06/2016 24
12	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი-0701		აკრედიტებული	28/06/2016 25
13	მევენახეობა-მელვინეობა	ქართული	აგრარული მეცნიერებათა მაგისტრი-01		აკრედიტებული	11/05/2018 61
14	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული	ქართული	განათლების მაგისტრი - 30201		აკრედიტებული	08/08/2018 99

	საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა					
15	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი-0203		აკრედიტებული	12/08/2018 120
16	აგრონომია	ქართული	აგრონომიის ბაკალავრი-0101		აკრედიტებული	05/02/2019 36
17	სასურსათო ტექნოლოგია	ქართული	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი-0104		აკრედიტებული	05/02/2019 37
18	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული			აკრედიტებული	27/12/2019 245
19	განათლების მეცნიერებები (ერთობლივი)	ქართული	განათლების დოქტორი-0111.1.1		აკრედიტებული	13/10/2020 985678
20	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი-043.1.2		აკრედიტებული	28/12/2020 26048
21	გამოყენებითი ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი-0701		აკრედიტებული	30/12/2020 41866
22	ბიოლოგია	ქართული	ბიოლოგიის ბაკალავრი-0511.1.1		აკრედიტებული	13/04/2021 352763
23	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი-0612.1.1		აკრედიტებული	09/06/2021 548316